საკანონმდებლო მაცნე

აპრილი 2024
[NO.4] www.bdo.ge

შინაარსი

- ცალკეულ საქონელზე ბუნებრივი დანაკარგის მაქსიმალური ზღვრული ნორმების განსაზღვრა
- სსიპ - შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევა
- ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის გამოანგარიშების შესახებ

ცვლილება ბრძანებაში

ცალკეულ საქონელზე ბუნებრივი დანაკარგის მაქსიმალური ზღვრული ნორმების განსაზღვრა

შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებებით (№6483, №6474, №6482, №6482) რამდენიმე დასახელების საქონელზე განისაზღვრა ბუნებრივი დანაკარგის ნორმები, ესენია:

- სოიოს შროტი (სეს ესნ კოდი: 2304)
- მზესუმზირის შროტი (სეს ესნ კოდი: 2306)
- მეთილ-ტრეტ ბუტილეთინის ეთერი (სეს ესნ კოდი: 2909 19 90)
- ვაკუუმური გაზოილი (სეს ესნ კოდი: 2710 19 310 00, 2710 19 350 00)
- მაზუთი (სეს ესნ კოდი: 2710 19 620 00, 2710 19 660 00, 2710 19 670 00)
- საპოხი ზეთი (სეს ესნ კოდი: 2710 19 710 00)
- ბენზოლი (სეს ესნ კოდი: 2902 20 000 00).

ცვლილება ძალაშია 2024 წლის 27 მარტიდან.

სსიპ - შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევა

2024 წლის 11 აპრილს გამოქვეყნდა შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანება №7088. ამ ბრძანებით ცვლილება შევიდა შემოსავლების სამსახურის უფროსის 2021 წლის 15 იანვრის №108-ე ბრძანებაში - „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის მიერ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებით განსაზღვრული მომსახურების გაწევისა და მომსახურების საფასურის აღრიცხვის ბარათის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ .

ცვლილება შეეხო აღნიშნული ბრძანების მე-5 მუხლს, რომელიც განსაზღვრავს სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის დაწესებული ვადის ათვლის წესს. ცვლილების შედეგად აღნიშნულ მუხლს დაემატა ახალი 6[1] პუნქტი, რომლის თანახმადაც განისაზღვრა, რომ საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია, მოტივირებული გადაწყვეტილებით, უარი თქვას დადგენილებით დამტკიცებული „სსიპ - შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების“ მე-5 გრაფით გათვალისწინებული (გადასახადის გადამხდელის ინიციატივით საგადასახადო შემოწმების ჩატარება) მომსახურების გაწევაზე.

ცვლილება ძალაშია 2024 წლის 2 აპრილიდან.

მეთოდური მითითება

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის გამოანგარიშების შესახებ

2024 წლის 12 აპრილს გამოქვეყნდა შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანება N7630, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის გამოანგარიშების შესახებ მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე. ამასთანავე, ძალადაკარგულად გამოცხადდა შემოსავლების სამსახურის უფროსის 2021 წლის 19 ივლისის N 23360 ბრძანება „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის გამოანგარიშების შესახებ მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე“.

აღნიშნული მეთოდური მითითება არეგულირებს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის გაანგარიშებისა და საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრის წესებს. ცვლილების შედეგად მეთოდურ მითითებას დაემატა ახალი 12-14 მაგალითები, რომლებიც ეხება შემთხვევებს როდესაც:

- ლიცენზიის მფლობელმა გააუქმა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია, ისე რომ აღნიშნულ ლიცენზიაზე არ არის დამტკიცებული სასარგებლო წიაღისეულის შესაბამისი ათვისების გეგმა
- ლიცენზიაზე დადგენილი ვადის დარღვევით დამტკიცებულია სასარგებლო წიაღისეულის შესაბამისი ათვისების გეგმა
- ლიცენზიის მფლობელმა გაასხვისა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია, ისე რომ აღნიშნულ ლიცენზიაზე არ არის დამტკიცებული სასარგებლო წიაღისეულის შესაბამისი ათვისების გეგმა, ხოლო ახალ მესაკუთრეს ლიცენზიით გათვალისწინებული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ათვისების გეგმა დამტკიცებული აქვს ლიცენზიით განსაზღვრული მოსაპოვებელი რესურსის მთლიან ჯამურ მოცულობაზე.

მეთოდური მითითება ძალაშია 2024 წლის 6 აპრილიდან.

ავტორის სვეტი

პუბლიკაციაში მოცემულია ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და საგადასახადო სიახლეები და ცვლილებები, რომელზეც ყურადღება უნდა გაამახვილოს ბიზნესმა.

გამოცემა ეხება ცვლილებას ბრძანებაში, ასევე მეთოდურ მითითებას.

მარიამ ხუსკივაძე
MKhuskivadze@bdo.ge

მიხეილ ენუქიძე
MEnukidze@bdo.ge

▶ ვრცლად www.bdo.ge

პუბლიკაცია მომზადებულია კონკრეტულ თემაზე, მაგრამ ზოგადი დებულებების გამოყენებით, ამიტომ განკუთვნილია მხოლოდ ზოგადი სახელმძღვანელოს სახით გამოყენებისთვის. დაუშვებელია კონკრეტული სიტუაციების მოგვარებისათვის ამ პუბლიკაციის გამოყენება, ან მასში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობა პროფესიული კონსულტაციის გარეშე.
გთხოვთ, მიმართოთ ბიდიოს პუბლიკაციაში მოცემული საკითხების კონკრეტული სიტუაციებისთვის განსახილველად. შპს ბიდიო საქართველო, მისი პარტნიორები და თანამშრომლები არ იღებენ პასუხისმგებლობას ამ პუბლიკაციაზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებების შედეგებზე.

შპს ბიდიო საქართველო არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის - “ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის” წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში.
ბიდიო არის საერთო სასაქონლო ნიშანი ბიდიოს ქსელისა და მისი თითოეული წევრი ფირმისათვის.